

შპს „ენგურჰესი“



დიმელ-გენერატორების
სახელმწიფო შესყიდვა
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

სატენდერო
დოკუმენტაცია

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. ანგარიშსწორების პირობები:

- 1.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სავარაუდო თანხაში შედის დღგ-ს გადასახადი, ტრანსპორტირების და დანარჩენი ხარჯები.
- 1.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში – ლარებში.
- 1.3 ანგარიშსწორება:
- 1.3.1 იმ შემთხვევაში თუ მიღწეულ იქნა შეთანხმება მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის, შემსყიდველი მიმწოდებელს ავანსის სახით გადაუხდის სახელშეკრულებო თანხის არაუმეტეს 50%-ს. ამავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.
- 1.3.2 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვალა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას 30 (ოცდაათი)დღით.
- 1.3.3 შემსყიდველის მიერ ავანსად გაცემული თანხის სრულად გათავისუფლება განხორციელდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რის შემდეგაც გარანტიის დაბრუნება განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
- 1.3.4 საავანსო საბანკო გარანტია, შემსყიდველის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე
- 1.3.5 ანგარიშსწორება მოხდება კომისიის მიერ მიწოდებული საქონლის გექნიკურ მოთხოვნებთან იდენტურობის დადგენის შემდეგ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათ) საბანკო დღეში.

2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

შესყიდვის ობიექტების დასახელება: **ორი ერთეული დიზელ-გენერატორი.**

ტექნიკური მონაცემები:

№	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზ	რაოდ
1	დიზელ-გენერატორი	<p>გენერატორი სიხშირე – 50 H ნომინალური სიმძლავრე – 440 კვა ძაბვა – 400/230ვ საწვავის ავზის მოცულობა – 300-350 ლიტ გაშვების მოწყობილობა აკუმულატორი – 24ვ. 160 ამპ/სთ გაბარიტები – 3200X1300X2100 მმ</p> <p>სიმძლავრის კოეფიციენტი – COSφ08 გაციების სისტემა – სითხით</p> <p>ძრავი ცილინდრების რაოდენობა – 6 ბრუნთა რიცხვი – 1500 ბრ/წთ საწვავის ხარჯი – 65 ლიტრამდე.</p>	ც	2

შენიშვნა:

- შესრულდება სტაციონალური რი ღია ტიპის.

- მოსაწოდებელი მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს ევროპულ ლი ბამ რის ყველა მოთხოვნებს.

3. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები:

- 3.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. ზუგდიდი - ერთი ერთეული და ჩალენჯიხა, დას. ფოცხო-ეწერი - ერთი ერთეული.
- 3.2 აღნიშნული საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 3.3 მიმწოდებელს უფლება აქვს საქონელი მიაწოდოს ვადაზე ადრე.

4. მიღება-ჩაბარების წესი:

- 4.1 საქონელის მოწოდება დასრულდება ლად ჩაითვლება საქონლის სრული რაოდენობით მოწოდებამდე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან.
- 4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე უფლებამოსილი პირია - შპს „ენგურჰესი“-ს ექსპლუატაციის მენეჯერი - ნ. ფაცაცია.

5. ხარისხი და გარანტია

- 5.1 მიმწოდებელი იძლევა მოწოდებულ საქონელზე ექსპლუატაციაში შესვლიდან 1 წლიან საგარანტიო ვადას ექსპლუატაციის ნორმების სრული დაცვის შემთხვევაში. ვადაზე ადრე გამოვლენილი ნაკლოვანებები მიმწოდებელმა უნდა აღმოფხვრას გონივრულ ვადაში.
- 5.2. მოწოდებულ საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს ISO-ს სტანდარტებს.

6. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასაგვირთი მონაცემები:

- 6.1 ინფორმაცია საგარანტიო პერიოდისა და პირობების შესახებ;
- 6.2 მისაწოდებელი საქონლის ფასების ცხრილი - ფასების ცხრილი უნდა შეიცავდეს მისაწოდებელი საქონლის ხარჯების ამსახველ დეტალურ ინფორმაციას (დანართი №2)
- 6.3 პრეტენდენტის რეკვიზიტები (დანართი №1)
- 6.4 ინფორმაცია საქონლის მიწოდების ვადების შესახებ.
- 6.5 სრულიყოფილი ინფორმაცია მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკური პარამეტრებისა და ხარისხობრივი მონაცემების შესახებ.

მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რასახითაც იგი იქნება წარმოდგენილი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირიებსაგან: სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ჭერიან არონია 595 962296, რომან ლაგვილავა 595 337823
ელ. ფოსტა romani.lagvilava@engurhesi.ge

დანართი №1

რეკვიზიტები:

- მიმწოდებლის იურიდიული ფორმა და დასახელება;
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- მიმწოდებლის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;
- მიმწოდებლის საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;
- ელექტრონული მისამართი;
- ბანკის დასახელება და კოდი;
- ანგარიშსწორების ანგარიში;
- საინდენფიკაციო კოდი

ხელმოწერა-----

ბ.ა.

დანართი №2

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებელი	განზ	წაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი	წარმოშობის ქვეყანა
მთლიანი ჯამი									

ხელმოწერა-----

ბ.ა.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარჯვებული ელექტრონული გენდერის ჩაგარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეცედენტის საგენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

შპს „ენგურჰესი“, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8, ფაქ. მდებარეობა: გალის რ-ნი, დას. საბერიოში, (საფ/მის: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი), შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, მისი *ღირექვითა საბჭოს თავმჯდომარის – ლევან მებონიას* სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების შესაბამისად, ერთის მხრივ და

----- მეორეს მხრივ, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული გენდერის – ----- საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგმე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ გერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში-„ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. „ტექნიკური დავალება“ – საგენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. შესყიდვის ობიექტია:
ორი ერთეუ ლი დიზ ელ-გენერატორი.
- 2.2 კლასიფიკატორის კოდია - 31121100.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ————— ლარს, საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს როგორც მოსაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.
- 4.2. იმ შემთხვევაში თუ მიღწეულ იქნა შეთანხმება მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის, შემსყიდველი მიმწოდებელს ავანსის სახით გადაუხდის სახელშეკრულებო თანხის არაუმეტეს 50%-ს. ამავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.
- 4.3.2 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას 30 (ოცდაათი)დღით.
- 4.3.3 შემსყიდველის მიერ ავანსად გაცემული თანხის სრულად გათავისუფლება განხორციელდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რის შემდეგაც გარანტიის დაბრუნება განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
- 4.3.4 საავანსო საბანკო გარანტია, შემსყიდველის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე
- 4.3.5 ანგარიშსწორება მოხდება კომისიის მიერ მიწოდებული საქონლის გექნიკურ მოთხოვნებთან იდენტურობის დადგენის შემდეგ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათ) საბანკო დღეში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1 საქონლს მოწოდების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.
- 5.2 საქონლის მოწოდებულად ჩაითვლება საქონლის მოწოდებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან.
- 5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია: შპს „ენგურჰესი“-ს ექსპლუატაციის მენეჯერი – ნ. ფაცაცია.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 6.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
- 6.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეგანის გზით.

7. საქონლის მოწოდების ადგილი და ვადა

- 7.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. ზ უ გდიდი - ერთი ერთეუ ლი და ჩალენჯ იხა, დას. ფოცხო-ეწერი - ერთი ერთეუ ლი.
- 7.2 აღნიშნუ ლი საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უ ნდა უ ზ რუ ნველყოს ხელშეკრუ ლების გაფორმების დღიდან არაუ გვიანეს 45 (ორმოცდახუ თი) კალენდარუ ლი დღის განმავლობაში.
- 7.3 მიმწოდებელს უ ფლება აქვს საქონელი მიაწოდოს ვადაზ ე აღრე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 8.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
 - მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
 - განიხილოს შემსყიდველის ყველა პრეტენზია და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე და დაუყონებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება ან შეცვალოს ახლით.
- 8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:
 - საქონლის მოწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია.
- 8.3. შემსყიდველი ვალდებულია:
 - უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
 - უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)
- 8.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
 - მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

- 9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს – შპს „ენგურჰესი“-ს ექსპლუატაციის მენეჯერი – ნ. ფაცაცია.
- 9.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს და დეფექტების გამოვლენას.
- 9.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდა წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია 2 (ორი) დღის განმავლობაში აღმოფხვრას წუნი ან შეცვალოს ახლით.
- 9.4. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხარისხი და გარანტია

- 10.1 მიმწოდებელი იძლევა მოწოდებუ ლ საქონელზე ე ექსპლუ ატაციაში შესვლიდან 1 წლიან საგარანტიო ვადას ექსპლუ ატაციის ნორმების სრუ ლი დაცვის შემთხვევაში. ვადაზ ე აღრე გამოვლენილი ნაკლოვანებები მიმწოდებელმა უ ნდა აღმოფხვრას გონივრუ ლ ვადაში.
- 10.2. მოწოდებუ ლი საქონელი უ ნდა აუმაყოფი ლებდეს ISO-ს სტანდარტებს.

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

- 11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.
- 11.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იგოვებს

უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

- 11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილების შეგანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეგანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გამზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 12.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 12.5. მხარე ვალდებულია 12.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეაგყობინოს მეორე მხარეს.
- 12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. ფორს-მაჟორი

- 13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო გემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით გარემოებათა დასარულების შემდეგ.
- 13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

14. საავანსო საბანკო გარანტია

- 14.1. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
- 14.2. შემსყიდველის მიერ ავანსად გაცემული თანხის გათავისუფლება განხორციელდება ეტაპობრივად, -----ის პროპორციულად, შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გარდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა, ამ შემთხვევაში ხდება საბანკო გარანტიის სრულად გათავისუფლება, რის შემდეგაც გარანტიის დაბრუნება განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
- 14.3. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო თანხის საბანკო გარანტია, შემსყიდველის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე

15. დაფები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დაფა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დაფის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის ----- ჩათვლით.

17. სხვა პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

მიმწოდებელი
